მოხდება ნიჭიერი და პერსპექტიული ბავშვების გამოვლენა და განვითარება მზადების ყველა ეტაპზე, რათა შემდეგ მოხდეს ძირითადი გუნდისათვის კვალიფიციური ფეხბურთელების და რაგბისტების ჩამოყალიბება. სელექციის პროცესი ხელს შეუწყობს საფეხბურთო ჯგუფებისა და გუნდების სასწავლო საწვრთნელი პროცესის ამაღლებას. მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება ერთერთი მთავარი პირობაა შედეგის მისაღწევად. ამჟამად შპს საფეხბურთო კლუბ მერცხალში ფუნქციონირებს ბავშვთა 5 ასაკობრივი ჯგუფი (U-7-8; U-9-10; U-11-12; U-13-14; U-15-16;) რომლებიც მონაწილეობენ გურია აჭარის და იმერეთის ღია ჩემპიონატებში; ბავშვებს ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი სპორტული განვითარებისათვის; 2021 წლისათვის ბავშვთა რაოდენობა 180-ია (მათ შორის 180-ვე ბიჭია), 2022 წელს იგეგმება ბავშვთა რაოდენობის გაზრდა 230 -მდე. რაგბისტთა სპორტული კლუბი „არწივები“ მონაწილეობს ეროვნული ჩემპიონატის 1 ლიგაში, გუნდში ვარჯიშობს 40-ი 18 დან 30 წლამდე სპორტსმენი. ასევე ვარჯიშობს 7 დან 18 წლამდე ასაკის 175 ბავშვი, მათ შორის 170 ბიჭია და 5 გოგონა.		
		პროდუქტი



დასახელება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ა(ა)იპ რაგბის განვითარების კავშირი (05 01 03 01)	1	370000	370 000
შ.პ.ს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი მერცხალი	1	30000	300 000
ჯამი			670 000
მოსალოდნელი შუალედური შედეგი			
უზრუნველყოფილია ფეხბურთისა და რაგბის კლუბების გამართული ფუნქციონირება და ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა			

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0502
პროგრამის დასახელება:	კულტურის განვითარების ხელშეწყობა
პროგრამის განმახორციელებელი:	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2022-2025 წწ.
სულ პროგრამის ბიუჯეტი:	3 054 000 ლარი
პროგრამის მიზანი	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში კულტურის პროექტების განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა და კულტურის პოპულარიზაცია	
პროგრამის აღწერა	
ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ჩატარება, მთავრობის მიერ ოფიციალურად დადგენილი დღეების აღნიშვნა,კონცერტების გამოფენების, გასტროლების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი ფესტივალების,იუბილარ, ღვაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრა, მადლობის სიგელების,საპატიო ტიტულების, ერთჯერადი ფულადი ჯილდოების გაცემა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას/ორგანიზების ხელშეწყობას. კულტურის სფეროში დასაქმებული ადამიანების პროფესიული განვითარება/გადამზადება/გაცვლითი პროგრამები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ(ტრენინგები,ვორქშოფები, სემინარები,მასტერკლასები) კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (გურული ტრადიციებისა და ფოლკლორის პრომოუშენი. მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და პოპულარიზაცია როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საზღვარგარეთაც (საიმიჯო რგოლების დამზადება, ფოტო-ვიდეო მასალების შეგროვება, დოკუმენტური ფილმების გადაღება, გურული ტრადიციული სამზარეულოს გამოფენა-დეგუსტაცია, საკურორტო სეზონზე (ზღვა, მთა და სხვადასხვა ტურისტული ლოკაციები, კულტურული ღონისძიებების მოწყობა-ჩატარება.) საერთაშორისო კულტურულ-ურთიერთობათა გაღრმავება ,დამეგობრებულ ქვეყნებთან და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება, ჩვენი კულტურის წარმოჩენა და გამოცდილების გაზიარება.	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	



შექმნილია პირობები კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციისთვის, ხელშეწყობილია კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა კოლექტივები და სტუდიები და უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		050201	
ქვეპროგრამის დასახელება:		კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო		2022 წელი	
მუნიციპალური ბიუჯეტი		344 000	
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი		344 000	
ქვეპროგრამის მიზანი			
მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებების ორგანიზება			
ქვეპროგრამის აღწერა			
ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კონცერტების, გამოფენების, გასტროლების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი ფესტივალების, ღვაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრას, მადლობის სიგელების, საპატიო ტიტულების, ერთჯერადი ფულადი ჯილდოების გაცემა და სხვა ღონისძიებების ორგანიზება და ორგანიზების ხელშეწყობა.			
დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
კალანდა გურიაში	1	5000	5000
ექვთიმეობა	1	2000	2000
ალეგრობა	1	40000	40000
ოფიციალურად დადგენილი დღეებისა (მაგ:საშობაო მსვლელობა ალილო 7 იანვარი, 25 თებერვალი, 3-8 მარტი, 9 აპრილი, 9 მაისი, 12 მაისი, 26 მაისი, 8 აგვისტო, 27 სექტემბერი, 3 დეკემბერი) 2. საერთაშორისო მნიშვნელოვანი დადგენილი თარიღების აღნიშვნა აღნიშვნა (მუზეუმების საერთაშორისო დღე, ევროპის მემკვიდრეობის დღეები, ევროპის დღე, ჯანდაცვის მსოფლიო დღე, დედამიწის დღე და ა.შ)	15	20000	20000
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების(მატერიალური და არამატერიალური) მოვლა-პატრონობა	4	5000	5000
სხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, რომელიც პროგრამულად არ არის გათვალისწინებული	10	17200	172000
თეატრის თანადაფინანსება	1	100000	100000
ჯამი			344 000



ჯამი			344 000
მოსალოდნელი შუალედური შედეგი			
ჩატარებულია კულტურული ღონისძიებები და ხელშეწყობილია მოსახლეობის ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში			

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	050202
ქვეპროგრამის დასახელება:	კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2022 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	70 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	70 000

ქვეპროგრამის მიზანი
კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, გურული ტრადიციებისა და ფოლკლორის პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ; ტურიზმის სექტორში დასაქმებული ადამიანების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის აღწერა

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საიმიჯო რგოლების დამზადება, ფოტო-ვიდეო მასალების შეგროვება, დოკუმენტური ფილმების გადაღება, გურული ტრადიციული სამზარეულოს გამოფენა-დეგუსტაცია, საკურორტო სეზონზე (ზღვა, მთა და სხვადასხვა ტურისტული ლოკაციები, კულტურული ღონისძიებების მოწყობა-ჩატარება.) კულტურული ტურების განსახორციელებლად ტურიზმის სექტორში დასაქმებული ადამიანების დაინტერესება და მათი ხელშეწყობა.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
მთის დღესასწაული „გომისმთობა“	1	5000	5 000
ზღვის სეზონის გახსნა -კონცერტი	1	20000	20 000
გიორგი სალუქვაძის საერთაშორისო ფესტივალი	1	25000	25 000
საიმიჯო ვიდეორგოლებისა და სატელევიზიო სიუჟეტების მომზადება	6	8000	8 000
სხვა ღონისძიებები	3	4000	12 000
ჯამი			70 000



მოსალოდნელი შუალედური შედეგი

შექმნილია პირობები მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდისა და პოპულარიზაციისთვის, ხელშემწყობილია კულტურული ტურიზმი და უზრუნველყოფილია ადგილობრივი და საერთაშორისო ფესტივალების ჩატარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		050203	
ქვეპროგრამის დასახელება:		კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო		2022 წელი	
მუნიციპალური ბიუჯეტი		30 000	
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი		30 000	
ქვეპროგრამის მიზანი			
მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარებისა და ხელოვნათა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა; კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.			
ქვეპროგრამის აღწერა			
ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება ტრენინგის ჩატარება კულტურის სფეროს მენეჯერებისათვის - კულტურის სფეროს მენეჯმენტი და კულტურის სერვისები, ბ) ტრენინგი კულტურის სფეროს თანამშრომლებისთვის - ღონისძიებების სწორად დაგეგმვა/მართვა, გ) ტრენინგი კულტურის სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის -პროექტების წერის და მართვის პრინციპები. ფინანსების მოზიდვის მექანიზმები და თავისებურებანი; სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებების ორგანიზებას; ტრენინგებში, მასტერკლასებში, ვორკშოფებსა და სხვა სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობას; მუზეუმის, როგორც საგანმანათლებლო-კვლევითი დაწესებულებისა და საზოგადოებრივი ცენტრის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა, სხვადასხვა სახის სამუზეუმო საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, საბავშვო, ინკლუზიური განათლების და სხვა პროგრამების შემუშავება და დანერგვა. საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, დამეგობრებული ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების გამოცდილების გაზიარება კულტურის სფეროს მართვაში.			
დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებების ორგანიზება; ტრენინგები, მასტერკლასები, ვორკშოფები და სხვა სახელოვნებო განათლების ხელშეწყობი აქტივობები	2	7500	7500
მუზეუმის, როგორც საგანმანათლებლო-კვლევითი დაწესებულებისა და საზოგადოებრივი ცენტრის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა, სხვადასხვა სახის სამუზეუმო საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, საბავშვო, ინკლუზიური განათლების და სხვა პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის მხარდაჭერა	3	7500	7500



სასწავლო გაცვლითი პროგრამები -(როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ) გამოცდილების გაზიარება კულტურის სფეროში	2	7500	15000
ჯამი			30 000
მოსალოდნელი შუალედური შედეგი			
უზრუნველყოფილია კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარება და ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდა			

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		050204	
ქვეპროგრამის დასახელება:		კულტურის ობიექტების დაფინანსება	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური, ა(ა)იპი-ები	
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო		2022 წელი	
მუნიციპალური ბიუჯეტი		2 610 000	
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი		2 610 000	
ქვეპროგრამის მიზანი			
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში კულტურის პროექტების განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა			
ქვეპროგრამის აღწერა			
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალური სახვითი, ქორეოგრაფიული, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალ ექსპოზიციათა და მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.			
დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ დაბა ურეკის კულტურის სახლი	1	176000	176 000
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ცენტრალური ბიბლიოთეკა	1	200000	200 000
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი	1	114000	114 000



ა(ა)იპ მერაბ ბერძენიშვილის სახ. თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი	1	139000	139 000
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ჯუმბერ დუნდუას სახ. ქართული-ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი „გურია“	1	210000	216 000
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა	1	92000	92 000
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ გრიგოლ კილაძის სახ. მუსიკალური სკოლა	1	164000	164 000
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანება	1	244000	244 000
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურის და მოსწავლე - ახალგაზრდობის ცენტრი	1	1150000	1 150 000
საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონული წარმომადგენლობა	1	115000	115 000
ჯამი			2 610 000
კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებები ფუნქციონირებს გამართულად, უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებითი წრეების თანაბარი ხელმისაწვდომობა			

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0503
პროგრამის დასახელება:	ახალგაზრდული პროგრამები
პროგრამის განმახორციელებელი:	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2022-2025 წწ.
სულ პროგრამის ბიუჯეტი:	70 000 ლარი
პროგრამის მიზანი	
ახალგაზრდული ინიციატივების, პროექტებისა და წინადადებების განხორციელების ხელშეწყობა და დაფინანსება და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა	
პროგრამის აღწერა	
ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინაცია, ახალგაზრდული ინიციატივებისა და პროექტების მხარდაჭერა და დაფინანსება, სხვადასხვა სახის ინტელექტუალური კონკურსების ჩატარება, განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება. ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი წინადადებების გათვალისწინება. სამთავრობო და არასამთავრობო ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობა.	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	



ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	050301
ქვეპროგრამის დასახელება:	„შემოქმედებითი ოზურგეთი“
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2022 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	50 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	50 000

ქვეპროგრამის მიზანი

ქვეპროგრამის მიზანია შემოქმედებითი ინდუსტრიის სხვადასხვა დარგის განვითარების ხელშეწყობა;

შემოქმედებით ინდუსტრიაში მომუშავე სუბიექტების პროფესიული ზრდის ხელშეწყობა, მათი სხვადასხვა პროგრამებში ჩართვა, შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარებაში კულტურული მრავალფეროვნების გამოკვეთა, ოზურგეთში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა კულტურული თვითგამოხატვის, კულტურის სფეროზე ხელმისაწვდომობისა და ჩართულობის გაძლიერების გზით; შემოქმედებითი ინდუსტრიის დარგების ხელშეწყობის გზით კულტურული ტურიზმის განვითარება, ტურისტული პოტენციალის ზრდა; მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის აღწერა

ახალგაზრდული იდეების მხარდაჭერის მიზნით,თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ხელშეწყობა – ქუჩის მხატვრობის, ფოტოგრაფიის, შემოქმედებითი ინსტალაციის, ურბანული და კონცეპტუალური ხელოვნების, ინოვაციურ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხელშეწყობა; პროგრამა უნდა განხორციელდეს კონკურსის წესით; პროექტის დაფინანსების მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

ქმნის საპროექტო განაცხადის/საკონკურსო განაცხადის (პროექტების) განმხილველ კომისიას (შემდგომში – კომისია). კომისიების საქმიანობის წესი განისაზღვრება კომისიის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი. ა) საკონკურსო განაცხადის წარდგენა ხდება, ოზურგეთის მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში,

რომლის მიზანია შემოქმედებითი ინდუსტრიის სხვადასხვა დარგის განვითარების ხელშეწყობა;

შემოქმედებით ინდუსტრიაში მომუშავე სუბიექტების პროფესიული ზრდის ხელშეწყობა, მათი სხვადასხვა პროგრამებში ჩართვა, შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარებაში კულტურული მრავალფეროვნების გამოკვეთა, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა კულტურული თვითგამოხატვის, კულტურის სფეროზე ხელმისაწვდომობისა და ჩართულობის



გაძლიერების გზით; შემოქმედებითი ინდუსტრიის დარგების ხელშეწყობის გზით კულტურული ტურიზმის განვითარება, ტურისტული პოტენციალის ზრდა; მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა;

ბ) საკონკურსო განაცხადის წარდგენა შეუძლია შესაბამის სფეროში მოღვაწე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იურიდიულ პირს ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის პროექტი ორიენტირებული იქნება დარგის მდგრად ან/და გრძელვადიან განვითარებაზე;

გ) საკონკურსო განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს მერიის მიერ განსაზღვრული განაცხადის ფორმის შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოცხადებულ კონკურსში;

დ) კონკურსი ცხადდება არანაკლებ წელიწადში ორჯერ;

ე) საკონკურსო განაცხადების მიღების ვადაა კონკურსის გამოცხადებიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღე; ვ) დაფინანსების მაქსიმალური ოდენობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება თითოეულ პროექტზე ინდივიდუალურად, პროექტის სპეციფიკიდან და მასშტაბურობიდან გამომდინარე.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა (სავარაუდო)	ერთეულის სავარაუდო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
„შემოქმედებითი ოზურგეთი“	10	5 000	50 000
ჯამი			50 000
მოსალოდნელი შუალედური შედეგი			
ხელშეწყობილია ახალგარდების ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელებაში			

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	050302
ქვეპროგრამის დასახელება:	ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2022 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	7 500
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	7 500

ქვეპროგრამის მიზანი



ახალგაზრდების ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის აღწერა

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების დაჯილდოება (პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები). ინტელექტუალური შეჯიბრებები. ახალგაზრდების ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე ღონისძიებების განხორციელება.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების დაჯილდოება	11	50	500
ინტელექტუალური შეჯიბრებები	10	50	500
სხვადასხვა ღონისძიებები	10	650	6 500
ჯამი			7 500

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

ხელშეწყობილია ახალგაზრდების ინტელექტუალურ-კულტურული განვითარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	050303
ქვეპროგრამის დასახელება:	ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2022 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	12 500
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	12 500

ქვეპროგრამის მიზანი

ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის აღწერა

ახალგაზრდების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება ა) ცხოვრების ჯანსაღი წესის, ბ) ბუღინგის, ოჯახური ძალადობის, გ) პროფესიული განათლების მიღების, დ) კარიერის განვითარების სერვისის დანერგვისა და დასაქმების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობით და საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით. დაგეგმილია ახალგაზრდობის კულტურულ-მემოქმედებითი და მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერა, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დასუფთავებისა და მოვლა-



პატრონობის უზრუნველყოფა, ლაშქრობებისა და ექსკურსიების ორგანიზება.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
შეხვედრების ორგანიზება	10	200	2 000
საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება	1000	3	3 000
ვიდეო რგოლების დამზადება	2	2 000	4 000
დასუფთავების ღონისძიებები	2	500	1 000
ლაშქრობებისა და ექსკურსიების ორგანიზება	5	500	2 500
ჯამი			12 500
მოსალოდნელი შუალედური შედეგი			
მხარდაჭერილია ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლების კამპანიები და მათი მოხალისეობრივი საქმიანობა			

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0504
პროგრამის დასახელება:	რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა
პროგრამის განმახორციელებელი:	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2022-2025 წწ.
სულ პროგრამის ბიუჯეტი:	100 000 ლარი
პროგრამის მიზანი	
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა. კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა.	
პროგრამის აღწერა	
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და შენარჩუნების მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მოწასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძრისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე XI-XVII -საუკუნეებში აგებული რამდენიმე ტაძარია (აჭის, ლიხაურის, ჯუმათის, შემოქმედის, კონჭკათის), რომელთაც გააჩნიათ უმნიშვნელოვანესი კულტურული-რელიგიური მნიშვნელობა და ისტორია. ეს ტაძრები ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშებია. დროდადრო ტაძრები საჭიროებენ რესტავრაციას და რეაბილიტაციას.	



მუხლი 17. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
(პროგრამული კოდი 06 00)
პრიორიტეტის ბიუჯეტი: 1 971 600 ლარი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს. თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ადგილობრივ დონეზე, სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

2022 წლის განმავლობაში მოსახლეობის სოციალური დაცვის მიმართულებით გაგრძელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება რომელიც გაზრდის სოციალურად დაუცველი ფენის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა ჯანდაცვისა და მომსახურების სერვისებზე.

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი
06 01	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	887 600	890 000	913 000	940 000
06 01 01	ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	184 600	180 000	180 000	190 000
06 01 02	მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება	246 000	250 000	250 000	260 000
06 01 03	თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება	55 000	55 000	60 000	60 000
06 01 04	ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება	230 000	260 000	277 000	280 000
06 01 05	გადადებული და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება	120 000	90 000	90 000	90 000
06 01 06	მკირადიღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება	52 000	55 000	56 000	60 000
06 02	სოციალური მხარდაჭერის პროგრამა	1 084 000	986 000	1 022 000	1 054 000
06 02 01	სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	60 000	66 000	70 000	70 000
06 02 02	დღის ცენტრის დაფინანსება	45 000	45 000	45 000	45 000
06 02 03	დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარება	15 000	20 000	20 000	20 000



06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	215 000	215 000	225 000	230 000
06 02 05	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება	14 000	14 000	14 000	14 000
06 02 06	სარიტუალო მომსახურების დაფინანსება	65 000	65 000	65 000	65 000
06 02 07	ოფიციალურად დადგენილი დღეების აღსანიშნავად სოციალური მხარდაჭერა	11 000	20 000	20 000	20 000
06 02 08	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება	370 000	270 000	280 000	290 000
06 02 09	მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	165 000	170 000	175 000	185 000
06 02 10	სოციალური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციების თანადაფინანსება	24 000	15 000	18 000	20 000
06 02 11	სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება	70 000	70 000	70 000	70 000
06 02 12	ძალადობის მსხვერპლის სტატუსი მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა	10 000	16 000	20 000	25 000
06 02 13	სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსება	20 000			
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		1 971 600	1 876 000	1 935 000	1 994 000

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0601
პროგრამის დასახელება:	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა
პროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2022-2025 წწ.
სულ პროგრამის ბიუჯეტი:	887 600 ლარი
პროგრამის მიზანი	
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა	
პროგრამის აღწერა	



პროგრამის ფარგლებში ასევე 6 ქვეპროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

გაზრდილია ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		060101
ქვეპროგრამის დასახელება:	ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო		2022 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი		184 600
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი		184 600

ქვეპროგრამის მიზანი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი

ქვეპროგრამის აღწერა

მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტრატეგიულ ფუნქციები: გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა. საკვებისა და სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა და მუნიციპალური მმართველობის ორგანოების ინფორმირება სავარაუდო საკვებისმიერი და წყლისმიერი ინფექციების გავრცელების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ; ჯანმრთელობის განმტკიცება ჯანმრთელობის დაცვაში უთანასწორობისა და სოციალურ დეტერმინანტებზე ზემოქმედების განხორციელების გზით; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა.; მოსახლეობის, თემის წარმომადგენლების, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფა, ადეკვატური დაფინანსების მიღწევა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისებსა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზუნველყოფა; ჯანმრთელობის ადვოკატირება, მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება, საინფორმაციო განმარტებითი საქმიანობა, სოციალური მოზილიზაცია; მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება. ახალი ვირუსის COVID-19 -ის ეპიდემიოლოგიური კონტროლი ადგილობრივ დონეზე, არსებული რეგულაციების მონიტორინგი.

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	1	184 600	184 600
ჯამი			173 000
მოსალოდნელი შუალედური შედეგი			
შედეგი 1: უზრუნველყოფილია გადამდებ დაავადებათა პრევენციისა და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; შედეგი 2: უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში საინტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი;			

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060102
ქვეპროგრამის დასახელება:	მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2022 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	246 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	246 000
ქვეპროგრამის მიზანი	
სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება	
ქვეპროგრამის აღწერა	
ა) 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 150001-მდეა. 2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანი ქალბატონები. უფლება აქვთ მიიღონ ერთჯერადი დახმარება 100 ლარის ოდენობით, წლის განმავლობაში ერთხელ პირად ანგარიშზე ჩარიცხვით ან უნაღდო ანგარიშსწორებას მედიკამენტებზე ფარმაცევტულ დაწესებულებაში ჩარიცხვით (მათი არჩევანით), უარის თქმის საფუძველი შეიძლება გახდეს ბენეფიციარის ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობა. ბ) 1. ოზურგეთის მუიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 150001-მდეა. 2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანებს. 3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირებს და შშმ ბავშვებს (18 წლამდე). უფლება აქვთ მიიღონ სამედიცინო მომსახურების თანაგადახდა უნაღდო ანგარიშსწორებით, კერძოდ: ბ.ა) იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს (სადაზღვევო კომპანია და სხვა) მიერ ასანაზღაურებელი თანხის 40% ნაკლებია ან ტოლი 150 ლარის, დაფინანსება მოხდება სრულად; ბ.ბ) იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს (სადაზღვევო კომპანია და სხვა) მიერ ასანაზღაურებელი თანხის 40% მეტია 150 ლარზე, მაშინ დაფინანსება	



მოხდება საყოველთაო ჯანდაცვის (სადაზღვევო კომპანია) თანაგადახდის ფარგლებში არსებული ტარიფით განსაზღვრული სახელმწიფოს (სადაზღვევო კომპანიის) მიერ ასანაზღაურებელი თანხის 40%-ის, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა. დაფინანსების ქვედა ზღვარია 150 ლარი; ბ.გ) იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს თანაგადახდა (საყოველთაო ჯანდაცვა, კერძო კომპანია), ანუ თუ მკურნალობის ხარჯები მთლიანად პაციენტის დასაფარია, ასეთ შემთხვევაში დაფინანსება მოხდება წარმოდგენილი თანხის ნახევრის, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა, დაფინანსების ქვედა ზღვარია 150 ლარი.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობისთვის უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯების თანადაფინანსება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060103
ქვეპროგრამის დასახელება:	თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2022 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	55 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	55 000

ქვეპროგრამის მიზანი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა მხარდაჭერა

ქვეპროგრამის აღწერა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირებს, რომლებიც ჩართული არიან დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საჭიროებენ დიალიზის კურსის ჩატარებას, უფლება აქვთ ისარგებლონ კვარტალში ერთხელ ფულადი დახმარებით 300 ლარის ოდენობით, ხოლო პერიტონიალურ შემთხვევაში ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციარები დახმარება იღებენ ტრანსპორტირებისათვის. დიალიზის პროგრამა ხორციელდება ქ. ოზურგეთში, ხოლო პერიტონიალურ შემთხვევაში ადგილზე არ ხდება ბენეფიციარის მომსახურება და უწევთ სხვა ქალაქში ტრანსპორტირება (ბათუმი, თბილისი).

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

ხელშეწყობილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა სამედიცინო მომსახურების მიღება



ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060104
ქვეპროგრამის დასახელება:	ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2022 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	230 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	230 000
ქვეპროგრამის მიზანი	
ოპერაციის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ლეიკემიისა და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების თანადაფინანსება	
ქვეპროგრამის აღწერა	
პროგრამა გულისხმობს ბენეფიციარებისათვის მკურნალობის ხარჯების თანაგადახდას, შემდეგი კრიტერიუმის გათვალისწინებით, კერძოდ: ა) იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს (სადაზღვევო კომპანიის და სხვა) მიერ ასანაზღაურებელი თანხის 40% არ აღემატება 200 ლარს, ანაზღაურება მოხდება მოთხოვნილი თანხის სრული ოდენობით. ბ) იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს (სადაზღვევო კომპანიის და სხვა) მიერ ასანაზღაურებელი თანხის 40% მეტია 200 ლარზე, შემთხვევის დაფინანსება მოხდება საყოველთაო ჯანდაცვის (სადაზღვევო კომპანია) ფარგლებში არსებული ტარიფით განსაზღვრული სახელმწიფოს (სადაზღვევო კომპანია) მიერ ასანაზღაურებელი თანხის 40%-ის, მაგრამ არაუმეტეს 600 ლარისა. დაფინანსების ქვედა ზღვარია 200 ლარი. ხოლო ყოველ შემდეგ შემთხვევაზე, იგივე მოქალაქის (სამედიცინო მომსახურება, გამოკვლევები) დაფინანსება მოხდება ანალოგიურად, მხოლოდ დაფინანსების ზედა ზღვარი იქნება 300 ლარი, ხოლო ქვედა ზღვარი 200 ლარი.	
გ) იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს თანაგადახდა, ანუ თუ მკურნალობის ხარჯები მთლიანად პაციენტის დასაფარია, პირველ ჯერზე დაფინანსება მოხდება წარმოდგენილი თანხის ნახევრის, მაგრამ არაუმეტეს 600 ლარისა, დაფინანსების ქვედა ზღვარია 200 ლარი, ხოლო ყოველ შემდეგ შემთხვევაზე იგივე მოქალაქის დაფინანსება მოხდება ანალოგიურად, ოღონდ ასანაზღაურებელი თანხის ზედა ზღვარი იქნება 300 ლარი, ხოლო ქვედა ზღვარი 200 ლარი. დ) დაფინანსებას ონკოლოგიური დაავადების სამკურნალოდ (მედიკამენტები და სამედიცინო დანიშნულების საგნები), ბენეფიციარები წელიწადში ერთხელ, მოთხოვნის შესაბამისად, მიიღებენ დახმარებას უნაღდო ანგარიშსწორებით ფარმაცევტულ დაწესებულებებში, ინვოისით წარმოდგენილი თანხის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 200 ლარისა; ე) აღნიშნული მუხლით, განმცხადებელს შეიძლება უარი ეთქვას დაფინანსებაზე გარკვეული ნოზოლოგიების დროს (ზედაპირული მცირე ზომის კეთილთვისებიანი სიმსივნეების გეგმიურად თანადაფინანსებაზე), რაც ნეგატიურად არ აისახება ბენეფიციარის ჯანმრთელობაზე.	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	
უზრუნველყოფილია ლეიკემიისა და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო სერვისების თანადაფინანსება	

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060105



ქვეპროგრამის დასახელება:	გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2022 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	120 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	120 000
ქვეპროგრამის მიზანი	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრები მოქალაქეებისთვის გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება	
ქვეპროგრამის აღწერა	
გადაუდებელი მდგომარეობების დროს (სამედიცინო თანადაფინანსება, რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში), ინვოლიტით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხის 50%, არაუმეტეს 500 ლარისა. ასევე, არაპროგრამული რეფერალური მომსახურება უნაღდო ანგარიშსწორებით, ინვოლიტით წამოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 500 ლარისა; გამონაკლის შემთხვევაში – ფინანსური დახმარება ტრანსპორტირებისათვის, მათ შორის, ქვეყნის გარეთ, მაქსიმალური ოდენობით 500 ლარი (გარდა იშვიათი გამონაკლისისა).	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრები მოქალაქეები საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი არიან გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებით	

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060106
ქვეპროგრამის დასახელება:	მვირადლირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2022 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	52 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	52 000
ქვეპროგრამის მიზანი	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირთა მვირადლირებულ კვლევების თანადაფინანსება	
ქვეპროგრამის აღწერა	



პროგრამა ითვალისწინებს:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 0-დან 200 001-მდეა და ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანებს, ასევე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირებს და შშმ ბავშვებს, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ საშუალება მიიღონ თანადაფინანსება ინვოისით წარმოდგენილი თანხის 90 % არაუმეტეს 200 ლარის ფარგლებში ძვირადღირებულ კვლევაზე (კომპიუტერული ტომოგრაფია და ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია).

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 0-დან 200 001-მდეა და ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანებს, ასევე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირებს და შშმ ბავშვებს, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ საშუალება მიიღონ თანადაფინანსება ინვოისით წარმოდგენილი თანხის 90 % არაუმეტეს 300 ლარის ფარგლებში ძვირადღირებულ კვლევაზე (მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია).

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 0-დან 200001-მდეა და ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანებს, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირებს და შშმ ბავშვებს, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ საშუალება მიიღონ თანადაფინანსება ინვოისით წარმოდგენილი თანხის 50 % არაუმეტეს 500 ლარის ფარგლებში ძვირადღირებულ კვლევაზე (კორონაროგრაფია, ანგიოგრაფია).

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ქალებს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 0-დან 200 001-მდეა, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ საშუალება მიიღონ თანადაფინანსება ინვოისით წარმოდგენილი თანხის 85 % არაუმეტეს 170 ლარის ფარგლებში ძვირადღირებულ კვლევაზე - ძუძუს კიბოს გენეტიკური კვლევა. სოციალურად დაუცველ ქალბატონებს, შშმ პირებს, მრავალშვილიან დედებს (18 წლამდე ოთხი და მეტი შვილი), ვეტერანებს და ასევე ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებს (ერთჯერადად) აღნიშნული კვლევა დაუფინანსდებათ სრულად (170 ლარის ფარგლებში). ასევე გამონაკლის შემთხვევებში სხვა ძვირადღირებული კვლევების თანადაფინანსება, ოზურგეთში რეგისტრირებული იმ პირებისა, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0- დან 150001- მდეა (200 ლარამდე კვლევები დაფინანსდება 90%-იანი თანაგადახდით, 200 ლარის ზემოთ ღირებულების კვლევები დაფინანსდება 50%-ით არაუმეტეს 500 ლარისა).

5. ბენეფიციარებს, რომელთაც აღნიშნული კვლევები მთლიანად ან ნაწილობრივ უფინანსდებათ საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში ან რომელიმე სადაზღვევო კომპანიის მიერ, კარგავენ ამ მუხლით სარგებლობის უფლებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

ხელმისაწვდომია ბენეფიციარებისთვის ძვირადღირებული კვლევების ჩატარება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0602
პროგრამის დასახელება:	სოციალური მხარდაჭერის პროგრამა
პროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2022-2025 წწ.
სულ პროგრამის ბიუჯეტი:	1 084 000 ლარი
პროგრამის მიზანი	
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა	
პროგრამის აღწერა	
პროგრამის ფარგლებში არსებული 13 ქვეპროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მძიმე სოციალური მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების დახმარება. მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ხელშეწყობა და სხვა სოციალური ღონისძიებების განხორციელება.	



მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ფინანსური დახმარებითა და სოციალური სერვისებით

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060201
ქვეპროგრამის დასახელება:	სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2022 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	60 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	60 000
ქვეპროგრამის მიზანი	
სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა	
ქვეპროგრამის აღწერა	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წლის 1 იანვრისთვის რეგისტრირებულ მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 100000-დან და 150 001-მდე, ყოველთვიურად დახმარება გაეწევა თითოეულ ბავშვზე 25 ლარის ოდენობით წერილობითი მომართვიანობის საფუძველზე. ოთხშვილიან ოჯახს ერთ-ერთი შვილის 18 წლის ასაკის შესრულებისას ეხსნება დახმარება და ხდება ჩანაცვლება მომლოდინეთა სიიდან. ყოველწლიურად მრავალშვილიანი ოჯახებისთვის დახმარებების გაცემა ხდება ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში. დახმარება გაიცემა განცხადების შეტანის რიგითობის მიხედვით. სახელმწიფო სოციალური პროგრამით უზრუნველყოფილი არიან სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები ფინანსური მხარდაჭერით. თუმცა, ეს პროგრამა ვრცელდება მხოლოდ 0-დან 100000 სარეიტინგო ქულამდე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტში შექმნილი მძიმე სოციალური ფონი გათვალისწინებით მოსახლეობის მომართვიანობის საფუძველზე.	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	
სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები ხელშეწყობილი არიან საბაზისო ფინანსური რესურსით	

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060202
ქვეპროგრამის დასახელება:	დღის ცენტრის დაფინანსება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვისა და



	სოციალური სერვისების სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2022 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	45 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	45 000
ქვეპროგრამის მიზანი	
დღის ცენტრის ბენეფიციარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მათ სოციალურ რეაბილიტაციაზე ზრუნვა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირების ცხოვრების გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მიზნით დახმარება	
ქვეპროგრამის აღწერა	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 6-დან 18 წლამდე ბავშვების თანადაფინანსება, რომლებიც სარგებლობენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მომავლის სხივის“ დღის ცენტრის მომსახურებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მომავლის სხივის“ ადმინისტრირებაში მყოფი „ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ კომუნალური ხარჯების დაფარვაში დახმარება.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მომავლის სხივის“ დაფინანსება ყოველთვიურად ერთ ბენეფიციარზე არაუმეტეს 150 ლარისა, პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ ერთ ბენეფიციარზე გათვლილი გაწეული მომსახურების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად. სოციალური საცხოვრისის (ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლი) მოზინადრეთა მიერ გახარჯული ბუნებრივი აირის თანხის ანაზღაურება, წარმოდგენილი მოხმარებული კომუნალური მომსახურების დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე, თანხის ჩარიცხვით მომსახურების მიმწოდებელთან, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით.	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	
დღის ცენტრის ბენეფიციარებისთვის უზრუნველყოფილია მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობები	

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060203
ქვეპროგრამის დასახელება:	დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარება
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2022 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	15 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	15 000
ქვეპროგრამის მიზანი	
